ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის
სხდომის ოქმი N 41

24 სექტემბერი, 2020 წელი ქ. თბილისი, დიდი დიღომი,

დემეტრე თავდადებულის ქუჩა N12ა

16:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თ. ტალიაშვილი, მ. დარჩია, ვ. ოთარაშვილი, ვ. ძნელაძე, ე. კუხიანიძე, ქ. ჯოხაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:
1. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. დავით რურუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:
1. ირაკლი გვილავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ზაზა ცინაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. გოგი ჩიქოვანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში მშენებარე მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მიმდინარე პროექტის ადგილზე გაცნობა; ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ანგარიშისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: ბატონი ირაკლი გვილავა
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

თანამომხსენებელი: ბატონი ზაზა ცინაძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

2. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა.

მომხსენებელი: ქალბატონი თამარ ტალიაშვილი
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

1. ორი კომისიის გაერთიანებული სხდომის ფარგლებში, დეპუტატები ადგილზე გაეცნენ მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობის პროცესს. კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა, ყურადღება გაამახვილა დედაქალაქში მულტიფუნქციური ცენტრების შექმნის აუცილებლობასა და ამ მიმართულებით, გადადგმულ ნაბიჯებზე. ქალბატონი თამარ ტალიაშვილი დაინტერესდა, თუ რა ეტაპზეა დედაქალაქში სხვა მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების მშენებლობა, რაზეც ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ პარალელურად, ვარკეთილში მიმდინარეობს მსგავსი მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა, რომელიც შედარებით ადრე დაიწყო. საქალაქო სამსახურის უფროსის თქმით, ორივე ცენტრის პროექტი მსგავსია და შენობების ფუნქციები იდენტურად არის განაწილებული. ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრი, გეგმით, 2021 წლის აგვისტოში დაიწყებს ფუნქციონირებას, ხოლო დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრი - 2021 წლის ნოემბრისთვის.

დეპუტატმა ავთანდილ ცინცაძემ აღნიშნა, რომ მშენებარე მულტიფუნქციურ-საზოგადოებრივ ცენტრთან მდებარეობს საბავშვო ბაგა-ბაღი, დედაქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო სკვერი და კერძო სკოლა „ფესვები", ასევე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აკეთებს სპორტულ მოედანს; დეპუტატის თქმით, მშენებარე მულტიფუნქციურ-საზოგადოებრივ ცენტრში განთავსდება ორი საცურაო აუზი, კრივის, ხელბურთისა და ფეხბურთის დარბაზები, მედიათეკა, მოქალაქეთა მოსასვენებელი ადგილი.

საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ თბილისში მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის აშენების შემდეგ, სავარაუდოა, რომ საქართველოს სხვა რეგიონის მუნიციპალიტეტებიც ააშენებენ მსგავს მრავალპროფილიან დაწესებულებებს.

კომისიის წევრი, ბატონი ვაჟა ოთარაშვილი დაინტერესდა, შემოწმებულია თუ არა მიწის ნაკვეთის სეისმომედეგობა, როგორია გეოლოგიური ქანების შემადგენლობა და რამდენად ახლოსაა მიწის ზედაპირთან მიწისქვეშა წყლები, რაზეც ბატონმა, ზაზა ცინაძემ განმარტა, რომ მშენებარე ობიექტი 9 ბალიან მიწისძვრაზეა გათვლილი. მისივე თქმით, მიწის ნაკვეთის გრუნტი ერთგვაროვანი, თიხოვანია; ხოლო ნულ ნიშნულზე წყალი არ არის, მიწის ქვემოთ კი 2.5 მეტრში მიედინება გრუნტის წყლები. ბატონმა ზაზა ცინაძემ ასევე აღნიშნა, რომ მულტიფუნქციურ-საზოგადოებრივი ცენტრის საძირკველი კეთდება მონოფილამენტით, რომელიც მრავალი ტიპის

ქანების პირობებში იკავებს წყალს. მას დაეთანხმა ბატონი ვაჟა ოთარაშვილი და თავის მხრივ განმარტა, რომ აღნიშნულ მასალას იყენებენ მდინარის მიჯნებადაც, რათა წყალმა მიწაში არ გაჟონოს, მაგალითად ეს ტექნოლოგიაა გამოყენებულია იტალიაში, ქალაქ ვენეციაში. ბატონი ზაზა ცინაძის თქმით, მსგავს ქალაქებში, თუნდაც ვენეციასა და სანკტ-პეტერბურგში მშენებლობებისას გამოიყენება ხიმინჯოვანი საძირკველი, რადგან ხიმინჯი მყარ გრუნტში ფიქსირდება, რომლის ზევით შეიძლება არაერთგვაროვანი გრუნტი იყოს, თუმცა გავლენას ვერ ახდენს კონსტრუქციის სიმყარეზე. ქალბატონი მარიკა დარჩიას თქმით, ქალაქი ამსტერდამიც ხიმინჯების გამოყენებით არის აშენებული.

ბატონი ვაჟა ოთარაშვილი, ასევე, დაინტერესდა მშენებლობისას ლითონის ხრახნილები რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან არის შესყიდული, თუ უკრაინიდან და თუ არის მასალა რადიაციაზე შემოწმებული, ასევე დაინტერესდა გამოყენებული ცემენტის ხარისხით. ბატონმა ზაზა ცინაძემ განმარტა, რომ ხრახნილების ნაწილი რუსთავის ქარხნიდან არის, ნაწილი კი უკრაინიდან და შემოწმებულია რადიაციისა და სიმტკიცეზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვლევით ლაბორატორიის მიერ, გამოყენებული ცემენტი კი B25 კლასის არის.

ბატონმა ირაკლი გვილავამ, კომისიის გასვლითი სხდომის ფორმატის გათვალისწინებით, მოკლედ მიმოიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ განათლებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით, მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა და განმარტა, რომ „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის პანდემიის გამო შემცირების მიუხედავად, მოსწავლეებს დაუფინანსდათ დამატებითი სასწავლო წელი; „პროფესიული განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, რეგისტრაცია სხვადასხვა სპეციალობებზე გაიარა 1550-მა დასაქმების მაძიებელმა და გადამზადების პროგრამაში მონაწილეობის სურვილის მქონე პირმა; ბიუჯეტის პროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 600-მდე სოციალურად დაუცველი სტუდენტი; ხოლო 146 თბილისში რეგისტრირებულ წარჩინებულ მაგისტრანტს გადაეცა სტიპენდია; პროექტის „ჩემი ადვოკატის" ფარგლებში, თბილისის მერიას სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიმართა 4 329 მოქალაქემ, პრაქტიკული კურსი გაიარა 134 სტუდენტმა, რომელთაც გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

ასევე, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით, დაფინანსდა და განხორციელდა ახალგაზრდული ინიციატივები და პროექტები. ბატონმა ირაკლი გვილავამ, ასევე ისაუბრა ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ მიერ განხორციელებულ პროექტებზე.

სამსახურის უფროსმა ყურადღება გაამახვილა თბილისის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის რაიონული ფილიალების მიერ განხორციელებულ შემდეგ პროექტებზე: ,,ინგლისური ენის ტური'', რომელშიც მონაწილეობდა გლდანის, ნაძალადევის, ჩუღურეთის, საბურთალოს, ისნისა და სამგორის ფილიალების ინგლისური ენის წრეების 110 მოსწავლე. საუკეთესო შედეგების მქონე 30 მოსწავლე დაჯილდოვდა სიგელებითა და წიგნებით; მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საგნობრივი მიმართულების წრეების უფროსკლასელ მოსწავლეთათვის განხორციელდა სასწავლო-შემეცნებითი შინაარსის შიდა პროექტი ,,უმაღლეს სკოლებთან თანამშრომლობით მოსწავლეთა ინტერესების რეალიზაცია და პროფ-ორიენტაცია''. პროექტის თანახმად, გლდანის

ფილიალის ბიოლოგიის წრის მოსწავლეები ესტუმრნენ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას, შეხვდნენ პროფესორ-მასწავლებლებს, ჩატარდა პრაქტიკული მეცადინეობა თემაზე „პირველადი სამედიცინო დახმარება"; სამგორის ფილიალში სრულად დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, კალათბურთის დარბაზში დამონტაჟდა სანათურები და შეიცვალა შენობის წვიმსაწრეტი მილები. მცირე სარემონტო-შეკეთებითი სამუშაოები ჩატარდა ჩუღურეთის, ნაძალადევისა და ისნის ფილიალებში.

ბატონი ირაკლი გვილავას თქმით, თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებამ, გააკეთა ოფიციალური განაცხადი „ევროპული ახალგაზრდული ბარათის ასოციაციის" (EYCA – European Youth Card Association) წევრობაზე და წარმატებით გაიარა I ეტაპი; 25 თებერვლიდან - 13 მარტის ჩათვლით, არაფორმალური განათლების მხარდაჭერისა და მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარების პროგრამების ფარგლებში, მოეწყო ზამთრის ბანაკი დედაქალაქში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სტუდენტებისთვის; „ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდულმა ფონდმა" „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების" მხარდაჭერით, გამართა საახალწლო ღონისძება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 150-მა ახალგაზრდამ, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვისა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახებიდან; ახალგაზრდულ ასოციაციასა „დრონი" და სტუდენტურ ინიციატივასთან „ამოიცანი შესაძლებლობა" ერთად, ჩაატარა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კარიერული ფორუმი. ღონისძიებას 100-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი დაესწრო. ხოლო ევროკავშირის პროგრამა „Erasmus+"ის ფარგლებში მოპოვებული გრანტით განხორციელდა თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების პრობლემების იდენტიფიცირებისა და თბილისის მერიის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის მიზნით ახალგაზრდობის სფეროში. კვლევა შესრულდა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ. გამოიკითხა 1500 ახალგაზრდა.

სიტყვის დასასრულს ბატონმა ირაკლი გვილავამ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური პანდემიის მიუხედავად, მომავალშიც უწყვეტად განაგრძობს ინფრასტრუქტურული პროექტებისა და დედაქალაქის ბიუჯეტით, კომპეტენციას მიკუთვნებული პროგრამების განხორციელებას.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ავთანდილ ცინცაძემ, თამარ ტალიაშვილმა, ზაზა ცინაძემ, ვაჟა ოთარაშვილმა, გიორგი ჩაკვეტაძემ, მარიკა დარჩიამ, ირაკლი გვილავამ.

განათლებისა და კულტურის კომისია ადგილზე გაეცნო ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში მდებარე მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის სამშენებლო სამუშაოებს და ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა საქალაქო 2020 წლის 9 თვის სამსახურის ანგარიში.

2. სხდომის მეორე საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილება ითვალისწინებს თბილისის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევას. მოვალეობის შემსრულებელი ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის ფუნქციებს, როდესაც კომისიის თავმჯდომარე იმყოფება სამსახურებრივ მივლინებაში, ავადმყოფობს ან არსებობს სხვა გარემოება, რის გამოც კომისიის თავმჯდომარე დროებით ვერ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას. ასეთ შემთხვევებში, მოვალეობის შემსრულებელი ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს და ხელს აწერს მიღებულ გადაწყვეტილებებს. ხსენებული დადგენილების საფუძველზე, განათლებისა და კულტურის კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს ქალბატონი ქეთევან ჯოხაძე. ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა კომისიის მოვალეობის შემსრულებლის ახალი კანდიდატურა, ბატონი ვლადიმერ ძნელაძე. მისი თქმით, ბატონი ვლადიმერ ძნელაძე წინა მოწვევის საკრებულოშიც, კომისიის წევრი იყო და აქტიურად მონაწილეობს საკითხების განხილვაში.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად, ბატონი ვლადიმერ ძნელაძის არჩევის შესახებ.

მომხრე _____	6
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	0

კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ გამოთქმულ მოსაზრებას და მხარი დაუჭირეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად, ბატონი ვლადიმერ ძნელაძის არჩევას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი ----------